№ 166
სამშაბათი, 31 ივლისი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1901

ივერია

№ 166
სამშაბათი, 31 ივლისი, 1901 წ.
რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის" ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის
დეპო

იყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.
ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.
(100—43—78)

ტელეფონი № 174.
ადრესი ტელეგრაფისა: Тифлисъ „Фармацевтика"

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი ფასით).

მიხეილ გედევანიშვილისა,
კია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

გ. ი. ზიჭუნაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

გ. გ. მადლაშვილი.—შინაგან სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მუდიანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. მაჭიძე—თვალის 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ფედორაძე. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარკვაძე—საქირურგო—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბედოღლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მადლაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

გ. ი. გვალიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არზანიანცი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მახსაჯს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардiана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობა იწვევს მსურველთ (ქალებსა და ვაჟებს)

სცენაზედ სამსახურისათვის
(მსახიობებად)

მსურველნი მიჰმართავენ საზოგადოების კანტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზედ) ყოველ-დღე, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (5—6.—3)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. კოლოდნოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. (ნ.)

ახალი ამბავი

⁂ გაზეთები სწერენ, რომ ამ ზაფხულს მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ა. ს. ერმოლოვი კავკასიაში ჩამოვა. მინისტრი ჯერ სამის კვირით საზღვარგარეთ მიდის და იქიდგან დაბრუნების ჩამოვა კავკასიაში. სხვათა შორის მინისტრი შავის ზღვის პირის გუბერნიაშიაც აპირობს ჩამოსვლას.

⁂ „С.-Петерб. Вѣд".-ის მე-201 ნომერში დაბეჭდილია ვილაც „ქართველის" წერილი ამ სათაურით: „პასუხი გ. ნ. დურნოვოს". ეს „ქართველი" სიმართლეს მოკლებულად სცნობს ყველა იმას, რასაც ამავე გაზეთში წინად ბ-ნი დურნოვო სწერდა ქართველების შესახებ.

⁂ მთავრობას აზრადა აქვს, გიმნაზიებსა, პროგიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში დღეს მიღებული ფორმა ორის წლით კიდევ დასტოვოს და შემდეგ-კი ახალი შემოიღოს, ყველა საშუალო სასწავლებლებისათვის ერთნაირი.

⁂ სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, საერო განათლების სამინისტროს განუმარტავს, რომ ყველა სტუდენტები, დღეს სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებულნი, უნივერსიტეტში იმავე სემესტრზედ მიიღებიან, რომლიდგანაც დათხოვნილ იქმნენ. ამ სტუდენტებს ნება არ ექმნებათ შემოდგომაზედ ეგზამენები დაიჭირონ.

⁂ ამ ორის წლის წინად საერო განათლების სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ სამინისტროს სკოლებში ზაფხულის კანიკულების შემდეგ სწავლა, 15 აგვისტოს ნაცვლად, როგორც წინად იყო, 21 აგვისტოს დაიწყოს ხოლმე. სამინისტროს აზრადა აქვს განკარგულება მოახდინოს, რომ წელს სწავლა პირველ სექტემბერს იქმნა დაწყობილი.

⁂ გზათა სამინისტროს აზრადა აქვს, გაამჯობესოს და უკეთ მოაწყოს სახალხო მატარებელთა მიმოსვლის საქმე, აგრეთვე გაამრავლოს ამ მატარებლების რიცხვი. ამას გარდა სამინისტრო ჰფიქრობს რკინის გზის აგენტების ქონებრივად უზრუნველ ყოფასაც.

ფელეტონი

ბარონ დე-ბაი
და
„ჩვენი ქვეყანა".

იმთავითვე ფრანგებსა ხვდათ წილად ჩვენი ქვეყანა და ჩვენი წარსული გაეცნოთ ევროპისათვის, და დღესაც უმეტეს წილად იგივე ფრანგები მოდიან საქართველოს შესასწავლად და გამოსაკვლევად. უკანასკნელ ხანის მოგზაურთა შორის დიდი საპატიო ადგილი ღირსეულად უჭირავს ბარონ დე-ბაის, რომელსაც მინდობილი ჰქონდა საერთოდ კავკასიის და კერძოდ საქართველოს ძველის თუ ახალის ხელოვნების ნიმუშები შეეკრიბნა და შეესწავლა.

პატივცემულს ბარონს არც შრომა დაუზოგავს და არც ხარჯი, რომ თავისი მისსია ღირსეულად შეესრულებინა, რამდენადაც კი ადგილობრივნი პირობანი ნებას აძლევდნენ. ადგილობრივნი პირობანი, იმიტომ ვამბობთ, რომ, როგორც ვიცით, რუსეთში გამოცემულ ბრძანების ძალით, უცხოეთის მსწავლულთ რუსეთის იმპერიაში არქეოლოგიურნი კვლევა-ძიებანი აკრძალული აქვთ. მაშასადამე, ბარონ დე-ბაიც, როგორც უცხოელი, ამ კანონს უნდა დამორჩილებოდა. იშვიათად თუ შემხვდებოდა თავაზიანი მაზრის უფროსი, რომელიც ხელს მიმართავდაო,—სთქვა დე-ბაიმ,—თორემ უფროს ერთ შემთხვევაში ყოველ-გვარი დაბრკოლება მელობებოდა წინ და ძველებურ საფლავების თხრის ნებას არ მაძლევდნენო. ეს რომ არ ყოფილიყო, დარწმუნებულნი ვართ, ბარონ დე-ბაის კოლექცია ერთი ორად და ერთი სამად მდიდარი და სავსე იქნებოდა. დღეს-კი ჩვენს მიწაში დამარხული განძი და ნიმუში წარსულის ცხოვრებისა მეცნიერებისათვისაც უცნობია და ჩვენთვისაც უხმარი, ჯერ ხანად მაინც.

პატივცემულმა მოგზაურმა ბარონმა დე-ბაიმ, როგორც ვიცით, ჯერ-ჯერობით მოიარა ზოგიერთი ნაწილი საქართველოსი და თავის მოგზაურობის ანგარიში ფრანგთა საზოგადოებას გააცნო აქაურ თვიურ ჟურნალის „Revue de Geographie"-ს საშუალებით; ხოლო ამ მოგზაურობის დროს შეკრებილი ნივთები ცალკე გამოჰფინა პარიჟის ცნობილ გიმეს მუზეუმში (Musée Guimet), რომლის დასათვალიერებლად 22 (9) მაისს მოწვეული ჰყავდა, სხვათა შორის, პარიჟის საანტროპოლოგიო საზოგადოების წევრნი.

ბარონს დე-ბაის თავის კოლექციის შედგენის დროს განსაკუთრებითი ყურადღება მიუქცევია ხელოვნების ნივთებისათვის: ვერცხლეულობისა, ოქრო-მკედით ნაკერისა და ჭურჭლეულობისათვის. მაყურებელთა საერთო ალტაცება გამოიწვია ჩვენებურის ოქრო-მკედით კერვის ნიმუშმა. ეს იყო ოთხ-კუთხ ადლის სიფართე ფარჩა, რომელიც სამეგრელოს ქალებს მიურთმევიათ სამეგრელოს უკანასკნელ მთავრის დავითის ასულ სალომესათვის, როცა ეს ფრანგის პრინც მურატს მისთხოვდა და რომელიც მათს ბრწყინვალებას პრინცესსა მურატს თავისს მხრივ ჩვენის მოგზაურისათვის უძღვნია. ოქრო-მკედით კერვა სამეგრელოში წარსულ საუკუნის მეორე ნახევრამდე საკმაოდ გავრცელებული იყო, განსაკუთრებით, მაღალ წოდების მანდილოსანთა შორის. მაგრამ მერე თან-და-თან გადავარდა და ამ ჟამად-კი, სამწუხაროდ, აქა-იქ ძველის დროის ნახელსაქმარს თუ-და შეჰხვდებით, როგორც თვითონ ბარონმაცა სთქვა, ხსენებული ფარჩა უკანასკნელი ნახელარია მეგრელ მანდილოსნებისა.

გამოფენილი იყო აგრეთვე თიხის ჭურჭლები მცხეთისა და ხორაგაულისა (შორაპნის მაზრა), ვერცხლის აზარფეშები, ძველებური ხელოვნური ქინძისთავები, აბასთუმანში ძველს საფლავში ნაპოვნი კაცის თავის ქალა, საყურადღებო საანტროპოლოგიო მხრით; და სხვ. და სხვ. ერთს მაგიდაზე დაწყობილი იყო ალბომი ტიპებისა და ჩვენთა ისტორიულთა ნაშთთა. მათსავე გვერდით დაეწყო ბარონ დე-ბაის ჩვენის მხატვრის ბ-ნ გაბაშვილის ნაწარმოებნი და არტისტიული საჩუქარი ჩვენის საყვარელი მსახიობის ნატ. გაბუნია-ცაგარელისა. ეს საჩუქარი წარმოადგენდა ჩვენის ქვეყნის მცხოვრებთა წარმომადგენელთა სახეებს, ხელოვნურად შესრულებულს. საკუთრივ ქართულ ხელოვნების გარდა, საპატიო ადგილი ეჭირა აგრეთვე თათართა, ოსთა და სხვათა ნაწარმოებს.

ყოველისავე ნივთის დანიშნულებას თვითონ პატივცემული ბარონ დე-ბაი უხსნიდა მუზეუმში მოწვეულ წევრებს პარიჟის სამეცნიერო საზოგადოებისას და თან ურიგებდა მის მიერ გამოცემულ წიგნაკებს, ჩვენის ქვეყნის შესახებ დაწერი-

⁂ ამ უკანასკნელ ხანებში სეტყვამ დუშეთის მაზრის შემდეგი სოფლები დააზარალა: საქორეთი, გოროეთი, იფნევი, პოლობეთი და მონასტირი.

⁂ როგორც „კავკაზ“-ს შეუტყვია, 12 და 13 ივნისს სეტყვას კახეთში შემდეგი სოფლები დაუზარალებია: ენისელი, გრემი, საბუე, ალმატი, აღდგომა, შილდა და ყვარელი, სულ 829 დესეტინა ნათესი და 380 დესეტინა ვენახი. ზარალი 38,135 მანეთისა იქნება.

⁂ იმ ზარალის გამოსარკვევად, რომელიც 26 ივლისს რკინის გზის სადგურზედ გაჩენილმა ცეცხლმა მიაყენა გზას, გამგეობა ამ გზისა სთხოვს იმათ, ვისი საქონელიც დაიწვა, წარადგინონ რკინის გზისაგან საქონლის გამოგზავნისა და გაგზავნის დროს მიღებული ბარათები და აგრეთვე განცხადებანი საქონლის ღირებულობის შესახებ.

⁂ ერთ კვირაზედ მეტია, რაც მიხეილის ქუჩაზედ საზაფხულო თეატრში მალოროსთა დასი, ბ-ნ სუხოდოლსკის გამგეობით, მალოროსიულ წარმოდგენებსა ჰმართავს. დასი კარგისა და გამოცდილის არტისტებისაგან შესდგება, ამიტომ საზოგადოება ჯ ბლომად ეტანება.

⁂ ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს დადგენილებით ტფილისის „მეშჩანთა“ მამასახლისი ედიგარ ედიგაროვი სასჯელთა დებულების მე-354 და სხვა მუხლების ძალით სამართალში იქმნა მიცემული. ედიგაროვს სამსახურის დროს დანაშაულობათა ჩადენა ჰბრალდება.

⁂ საერო განათლების სამინისტრომ სამხედრო სამინისტროსთან მოლაპარაკების შემდეგ ნება დართო წელს უმაღლესს სპეციალურს სასწავლებლებში შესვლისა იმ ყმაწვილ კაცებს, რომელნიც ექსტერნად კადეტთა კორპუსის უკანასკნელ კლასში დაიჭერენ გათავების ეგზამენს.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობას დაუდგენია იმ 300,000 მან., რომელიც ბელგიის უსახელო საზოგადოებამ გადასცა ქალაქს პირვანდელ სესხის რიცხვში, ადოს 150,000 მან. ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავად, დანარჩენი 150 ათასი მან. უკანვე დაუბრუნოს.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდვია 100,000 მან. ამ წლის ნახევარში ამიერ კავკასიის ბეითალთა და საბეითალო დაწესებულებათა მოხელეების შესანახ ხარჯად.

⁂ პორუჩიკ ალექსეევს, რომელსაც ფოსტა-ტელეგრაფის მოხელის ივანოვის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა, სასამართლომ წინად გადაწყვეტილი სასჯელი ერთის წლით საპყრობილეში დაპატიმრებით შეუცვალა.

⁂ შუშაში ქალაქის თავად ბ-ნი შახნაზაროვი აურჩევიათ.

⁂ როგორც სოფ. ბაკურციხიდგან გვატყობინებენ, იქ 22 ივლისს ღამე ბოროტ-განმზრახველთ კალოზე მოუკლავთ ძია ფაცხელაური. მკვლელი თიანეთის მაზრის მცხოვრები ყურდღელა ჭინჭარაული აღმოჩნდა.

⁂ ტფილისის საყასბოს ბეითალმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ საყასბოს ეზო ხის ღობის ნაცვლად შემოვლებულ იქმნას ქვითკირის კედლით.

⁂ კონს. ფურცელაძის სახლი, რომელსაც 28 ივლისს გაუჩნდა ცეცხლი, დაზღვეული ყოფილა რუსეთის დამზღვევ საზოგადოებაში.

⁂ ნადირაძისა და დულუხანოვის ცარიელს ადგილზედ პოლიციის მე-9 ნაწილში, თუმანოვის ქუჩის ზემოდ, ახლო-მახლო მცხოვრებთაგან იყრება თურმე ყოველივე ნაგავი და უწმინდურებანი, რის გამოც ის კუთხე მეტად უსუფთაო მდგომარეობაშია. ეხლა, რადგანაც მისი დასუფთავება იქ მცხოვრებლებს არ უკისრნიათ, პოლიციის ბოქაული სთხოვს ქალაქის გამგეობას დასწმინდოს ის ადგილი ქალაქის ხარჯით და შემდეგ ყურადღება იქმნება მიქცეული, რომ იქ მცხოვრებლებმა ნაგავი აღარ გადაჰყარონ ხოლმე.

⁂ ს. მეჯვრის-ხევიდგან გვწერენ, რომ 22 ივლისს აზნაურმა ალექსი ჭყოიძემ წინდა-წინ განზრახულ აზრით მტრულის დამოკიდებულებისა გამო დანით დასჭრა აქაურივე აზნაური დიმიტრი ჭყოიძე.

⁂ 20 ივლისს გორის მაზრაში ქვენაწყლის ბაქანის მახლობლად უცნობ ადამიანის გვამი უპოვნიათ.

კავკასიის მომავალი გამოფენა.

მომავალი გამოფენის მეთევზეობის განყოფილებაზედ ბ-ნი სემენოვი, მეთევზეობის გამგეობის რევიზორი, წაიკითხავს ლექციებს ხელოვნურად თევზების გამრავლების შესახებ.

გამოფენის გამგე კომიტეტმა დაადგინა მომავალი გამოფენის ბუფეტებსა და სხვა ადგილებში დახარჯულის გასასტუმრებლად ფულის მაგიერ მარკები იქნას ხმარებული. მარკები საზოგადოებამ განსაკუთრებულ კასსებში უნდა იყიდოს.

ტფილისის დურგალთა ამხანაგობას კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამგე-კომიტეტმა დაუთმო გამოფენის სამრეწველო განყოფილებაში თექვსმეტი ოთხ.-კუთხი არშინი ადგილი, სადაც გამოფენილი იქნება ამხანაგობის სახელოსნოში დამზადებული ნივთები.

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა საზოგადო კრება

29 ივლისი.

გუშინ წინ, 29 ივლისს, კრება ჰქონდა ტფილისის დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთ. კრებას თავმჯდომარეობდა ბ-ნი ნ. ელიავა. პირველად კრებას ეცნობა ამხანაგობის გამგეობის ნახევარი წლის მოქმედების ანგარიში.

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ კრებამ ბ-ნ ლ. ფურცელაძის წინადადებით სხვა საქმეების განხილვამდე ამოირჩია კენჭის ყრით 7 ახალი წევრი საზოგადოებისა. შემდეგ კრებას წარუდგინა მოხსენება გამგეობის თავმჯდომარის ბ-ნ ქურდიანისა, რომელიც ამხანაგობის საქმის ასე სუსტად დაყენების მიზეზად ასახელებდა კრედიტის უქონლობასა და ამხანაგობის რიგიან გამგეობის უყოლობას. როგორც კრებაზედ გამოირკვა, მეტად ცუდ განწყობილებაში ყოფილან გამგეობის საქმეებთან დაახლოვებული ორი წევრი—გიგაური და ბერძენიშვილი, ერთმანერთს არასფერს არ ჰკითხავდნენ და ისე მოქმედებდნენ, როგორც თვითონა ჰსურდათ. კრებამ, მიიღო რა საქმეში ცნობები გამგეობის ამ ორის წევრის მოქმედების შესახებ, დაადგინა გამოსცვალოს იგინი. კრედიტის აღმოჩენის შესახებ კარგა ხნის მოლაპარაკების შემდეგ კრებამ გადასწყვიტა დაავალოს გამგეობას ივალოს ტფილისის რომელიმე საკრედიტო დაწესებულებიდგან 2,000 მან., საქმის მოთხოვნილებისადაგვარად მოიხმაროს ეს ვალი და გააძლიეროს ამხანაგობის წარმოება. დამფასებელ კომისიის წევრმა ლ. ფურცელაძემ ლაპარაკი ჩამოაგდო კრებაზედ საკუთარის მაღაზიის გახსნის შესახებ, სადაც მიღებულ უნდა იქმნას გასასყიდად როგორც ამხანაგობის სახელოსნოს, ისე წევრების ნაწარმოები. კრებამ დაავალა გამგეობას შეეცადოს ამ საქმის განხორციელებას. ბ-ნ ფურცელაძისავე წინადადებით კრებამ საჭიროდ დაინახა სარევიზიო კომისიის ორის ახალის წევრის არჩევაც, რადგანაც ზოგი ძველი წევრი საქმეს რიგიანად არ უგდებს ყურს. კრებამ არ მიიღო მ. ჩოდრიშვილის განცხადება მაზანდის მიხედვით ნივთების დაფასების შესახებ და დაადგინა ამხანაგობის სახელოსნოში გაკეთებული ავეჯი ფასდებოდეს ისე, როგორც დაჯდება.

შემდეგ კრება შეუდგა განხილვას ბ-ნ ქურდიანის განცხადებისას იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას სახელოსნოში საკვირაო სკოლა, სადაც შეგირდებს უნდა ასწავლონ როგორც ხელოსნობა, ისე წერა-კითხვა. უსახსრობისა გამო ამ წინადადების განხორციელება გადაიდვა შემდეგისათვის; ამ ხანად-კი კრებამ გადასდო 20 მან., რომლითაც უნდა შეიძინონ წიგნები და ასწავლონ წერა-კითხვა შეგირდებს, როცა მუშაობისაგან მოცლილნი იქმნებიან. შემდეგ ბ-ნმა მ. ჩოდრიშვილმა წინადადება შეიტანა გადადებულ იქნას ამხანაგობის მოგებიდგან რაოდენიმე ფული იმ თანხის შესადგენად, საიდგანაც საჭიროების დროს ამხანაგობამ დახმარება უნდა გაუწიოს თავის წევრებს. თუმცა კრებამ ეს საქმე ფრიად საყურადღებოდ და საჭიროდ სცნო, მაგრამ იმის განხორციელება გადასდვა შემდეგის დროსათვის; ამასთან დაავალა ბ-ნ ჩოდრიშვილსავე წარმოუდგინოს კრებას ამის შესახებ განსაკუთრებული მოხსენება წლის ბოლოს, როცა კრების ხელში ექნება სრული ანგარიში გამგეობის მოქმედებისა. დასასრულ კრება შეუდგა გამგეობის წევრების არჩევას. დაასახელეს სულ 12 კაცი, ხოლო აქედგან კენჭი იყარა 7 კაცმა: ს. ქურდიანმა, ნაბიჭვრიშვილმა, მინდიაშვილმა, მიკირტუმოვმა, გიგაურმა და ტენისონმა; ამათგან ამორჩეულ იქმნენ ბ-ნი ქურდიანი, ნაბიჭვრიშვილი და ვასილ მინდიაშვილი. კრება ნაშუადღევის 5 საათზედ დასრულდა.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ზემო სვანეთი. წარსულს წელს „ივერიის“ მკითხველთ ვაუწყე ის უნუგეშო და განუკითხველი მდგომარეობა, რომელშიაც იყო ზემო სვანეთი უქიმობის გამო. მას შემდეგ, გვეგონა, ბედი გაგვიღიმებდა და ეს საჭირ-ბოროტო საქმე ჩვენს სასარგებლოდ გადასწყდებოდა. ამის იმედი მოგვცა ბ-ნ გუბერნატორის დაპირებამ, რომ ზემო სვანეთში საავადმყოფო დაარსდება და მასთან მუდმივი ექიმიც დაინიშნებაო. მაგრამ, დახეთ მეხთაც ბედს! როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც, დაპირების აღსრულება შორეულ მომავალშიაც არა სჩანს, და ყოველ მხრივ დაზარალებული სვანეთი ისევ კვნესის და იხრჩობა უქიმობის გამო.

ლეჩხუმის მაზრაში, რომელსაც ეკუთვნის სვანეთიც, სამი ექიმი ითვლება: ერთი მაზრის, მეორე სასოფლო—ლაილაშს და მესამეც—საკუთრივ ზემო-სვანეთისა; მაგრამ ვერც ერთი მათგანი ფაქტიურად სვანეთის წყლულსა და ჭრილობას ვერ შველის. სამაზრო ექიმი სცხოვრობს ქ. ცაგერში, საიდგანაც სვანს არასოდეს არ შეუძლიან ექიმის რჩევითა და წამლებით ისარგებლოს, რადგან საცხენო გზა ლეჩხუმსა და სვანეთს შუა მარტო ზაფხულის ორ თვეს არის, დანარჩენ დროს-კი მიმოსვლა შეწყვეტილია. ლაილაშის ექიმი უფრო ძნელად მისწვდება სვანეთს, რადგან უფრო დაშორებულია.

დაგვრჩა საკუთრივ სვანეთის ექიმი, რომელიც ჩვენ უნდა გვყოლოდა, მაგრამ რადგან უკუღმართი მოსაზრების გამო ეს მკურნალი მარტო სვანეთის ექიმის სახელს ატარებს, ნამდვილად-კი ქუთაისურების ექიმია და ქუთაისურ პაციენტებისაგან მსუქან ლუკმას დასწევს, სვანეთის გაჭირვება და ტკივილი ისევე აწუხებს, როგორც ჩინეთის ბოგდიხანის მუცლის გვრემა. მხოლოდ ივლისის პაპანაქება მოაგონებს ამ ექიმს სვანეთსა და მაშინ მოეშურება აქეთკენ. მაგრამ ამ დროს ექიმს გარდა სხვაც ბევრი სიამოვნებით მიემგზავრება სვანეთს, როგორც მშვენიერ საიგარაკო ადგილს.

ლებს *). დამსწრეთ გულწრფელად მიულოცეს ბარონ დე-ბაის ასე ჩინებულად ასრულება თავის მისიისა და მადლობა მოახსენეს, რომ შეძლება მისცა გაეცნოთ საქართველო, ეს კოპწია და ისტორიულად საინტერესო კუთხე აღმოსავლეთისა.

ამ წერილის დასასრულებლად საინტერესოთ ვთვლით მკითხველს გავაცნოთ წერილი, რომელიც დაიბეჭდა აქაურ ქალების ორგანოში „La Fronde“-ში, შესახებ ბარონ დე ბაის კოლექციისა.

...„კალმით დახატული საქართველოა, თვალწინ რომ გვიდგება თავისის მუქ ხავერდისფერ მთებითა, შესაზარ დარიალის ხეობითა, თვის მომხიბვლელ ქალაქ ტფილისითა; ღვითთვალისწინდება მისი უბრალო ჰაერი, მისი მდგნე და ქედმაღალი ხალხი, მისნი ლეგენდები. ნაქარგს, სამკაულს, იარაღს, ვერცხლეულობას გავლენა ატყვია ცოტათი ბერძენთა, ცოტათი სპარსთა, მაგრამ ამავე დროს იშვიათის კეთილშობილურის გემოვნებით არის ყოველივე აღბეჭდილი.

„აი თუნდა აიღეთ აზარფეშა: მოზრდილ კოვზის მსგავსი ჭურჭელი ოქრო-ცურვილი ან მინაქრიანი. ქართულ მასპინძლობის თანახმად, როცა ერთი დასცლის აზარფეშას, ამას აწვდის, რომლის სადღეგრძელოც უნდა დალიონ (?); თავის მხრივ, მეორე მესამეს, მისის აზრით, უფრო ღირსეულს მოსუფრალს აწვდის. და ამ სახით აზარფეშა ერთის ხელიდგან მეორეს ხელში გადადის და თანაც ეუბნებიან: „ალავერდი“, „იახშიოლ!“ ეს ნაკვთი მათთა ჩვეულებათა გვიჩვენებს, რომ ქართველნი მით ძველს ჩვეულებას არ ივიწყებენ. მართალია, ტკბილად, მეგობრულად დასთანხმდნენ გარუსებულიყვნენ, მაგრამ ძველებური ხასიათი ნებას არ აძლევთ ევროპიულ ცხოვრებაში ჩაერივნენ. ძველი, საშუალსაუკუნური გმირული ხასიათი დღემდე შერჩენიათ. როგორც რაინდული და მეომარი ხალხი, ბევრი თავს არ იტკივებს გაუმკლავდეს სომხებს ვაჭრობაში, და ესენიც თანდათან ხელიდგან აცლიან ქონებას. მათი ბუნებრივი ამპლუა გმირობაა. კეთილშობილურის გულის პატრონნი არიან და ამას თავის მთავარ ღირსებადა სთვლიან.

„მათის ისტორიის უმთავრესი პირი თამარ მეფეა. აქა, ჩვენს წინა, დგას ეს მეფე მდიდრულის ძოწეულით მოსილი, თვალმარგალიტით შემკული, ხატის მსგავსად. იქ, საქართველოში კი, იგივე მეფე ნამდვილი კერპია, თაყვანსა სცემენ, ვითარცა სიმბოლოს ქველობისა და ძლიერებისას:

„თამარ მეფე ღმერთსა უყვარს,
ზეცით ჩამოესმის რეკა;
იალბუზზე ფეხი შესდგა,
მთებს დააწყებინა დრეკა.“

ხალხს აგრეთვე უყვარს წმ. ნინო, რომელმაც, ზეპირგარდმოცემის თანახმად, მცხეთაში აღმოაჩინა კვართი უფლისა და მეოთხე საუკუნეში ქართველთა შორის ქრისტეს მოძღვრება იქადაგა. მაგრამ ქართველნი არა მარტო ამ დედოფალსა და წმინდანს ქალსა სცემენ თაყვანსა და აღმერთებენ. არა, ქართველი განსაკუთრებით პატივის მცემელია საზოგადოდ ქალისა, და, როგორც ვიცით, ასეთს პატივისცემას აღმოსავლეთის სხვა ქალი მოკლებულია. ქართველ ქალს დიდი გავლენა აქვს. მის სურვილს ხშირად სიტყვა შეუბრუნებლად ჰმორჩილობენ. მაგალითად, ჩხუბის დროს საკმარისია ქართველმა ქალმა მოჩხუბართა შორის თავისი მანდილი ჩააგდოს, რომ ჩხუბი უმალვე შესწყვიტონ, თითქო რაღაც ზეციური შუამავალი ჩაერია და უბრძანა სიტყვა შერიგებისა.“

მადლობით სავსე წერილი უძღვნა აგრეთვე ბარონს დე-ბაის ხელოვნების ცნობილმა კრიტიკოსმა ჟიულ დე-სენტ-ილერმა გაზეთ „Le Journal des Arts“-ში. ბარონმა დე-ბაიმ გაგვაცნო მშვენიერ საქართველოს ქალების ძვირფასი ხელოვნება. თავისი ძვირფასი საეტნოგრაფიო მასალა შეუკრებია არა მარტო თავად-აზნაურთა ოჯახებში, არამედ მდაბიოთა შორისაცა. ამა თუ იმ ერის შემოქმედებით ნიჭიერებას ისე თვალსაჩინოდ არაფერი ჰყოფს, როგორც მდაბიოთა ნახელსაქმარიო. კრიტიკოსს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ჩვენებურის თიხის ჭურჭლეულობისათვის (ხორაგაულისა და მცხეთისა) და ამბობს, მართლა და კლასიკურ აღმაღლებულ გემოვნებით არის გაკეთებულიო.

ჟიულ დე-სენტ-ილერთან ერთად, დარწმუნებულნი ვართ, ქართული ერიც თავის გულწრფელს მადლობას შესწირავს პატივცემულს ბარონს დე-ბაის, რომ ერთხელ მეტად შემთხვევა მისცა ფრანგებს ჩვენი შემოქმედებითი ნიჭი გაეცნოთ.

abc.

---

*) ამ წიგნაკების შინაარსს ცალკე გავაცნობთ მკითხველთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ტოპოგრაფიულის და ეტნოგრაფიულის პირობების მიხედვით არც ერთ მხარეს ისე არ ეჭირვება ქვეყანა, როგორც აქ, სვანეთში. ეს გარემოება კარგად მოეხსენება აქაურს ადმინისტრაციას, მაგრამ დღემდის მარტო ტკბილ სიტყვებით კვებავენ. ამიტომ, უმაღლეს მთავრობას კი ჯერს ჩვენი დახმარება ამ მხრით, მაგრამ ადგილობრივი სამაზრო მმართველობა, რადაც მოსაზრებით, ეღობება წინ ამ ფრიად სანიტარიულს და კეთილ-მოყვარულის განზრახვის განხორციელებას.

მართალია ჩვენი საჭიროება, რომელზედაც დამოკიდებულია მთელი ზემო-სვანეთის მომავალი, მისი კეთილდღეობა და განვითარება, გზის გაყვანაა. ზემო-სვანეთს უწინ ისეთი გზა, რომელიც დააკავშირებდეს მას სამეგრელო-იმერეთთან. ტეხნიკური პირობების მიხედვით ასეთი გზა-ტკეცილი შეიძლება გაიდეს ენგურის მდინარის ნაპირ-ნაპირ სამეგრელოსაკენ (ზუგდიდისაკენ). გზის მიმართულება კარგა ხანია გამოკვლეულია აქაურ ინჟინრებს, მაგრამ რადგანაც მანქანებით საერთო ფულებს, ამ გზისთვის გადადებულს, შორეულ გუბერნიის საჭიროება იტაცებს ხოლმე. ჩვენი გუბერნიის მივარდნილ კუთხის მდიდარ-დიდებული საჭიროება-კი დაუკმაყოფილებელი რჩება.

რაიც შეეხება ზემო სვანეთის შიდა გზებს, უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნ სარ. დადეშქელიანის სვანეთის ბოქაულად დანიშვნამდე, სოფლები ერთმანერთს მოწყვეტილი იყვნენ. ბოქაულმა მოსვლისთანავე მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და თავ-დაუზოგავის შრომით მთელი ზემო-სვანეთის სიგრძეზედ (ს. უშგულიდგან ს. ლახამულამდე) გაიყვანა მშვენიერი საცხენო გზა. მაგრამ გაყვანილ გზას ყოველ-წლივ შეკეთება უნდა, მეტადრე სვანეთში. ამიტომაც, როცა ბ. დადეშქელიანი გადაიყვანეს აქედგან, სვანეთის გზებიც თხრილ დარჩნენ და მათის შეკეთებისთვის არავინ ყურს არ იბერტყს.

ჩვენის სამაზრო მმართველობის დაუდევრობას და უზრუნველობის ხალხის კეთილ-დღეობისათვის საკმაოდ ახასიათებს ყაჩაღთა თავისუფალი ფარფატი ზემო სვანეთში. ეს ყაჩაღები ისეთს რამეებს სჩადიან სვანეთის ორ სოფელში (მულახსა და იფარისში), რომ მგზავრს ზღაპრად ეგონება. სამ ივლისს, შუადღისას, მათ მოჰკლეს ს. წვირმის მცხოვრები, ახალგაზრდა გლეხი ალ. ფანგანი; თავზარ-დაცემული მცხოვრებნი მაშინ გარეთ ვეღარ გამოდიან და ვეღარ მუშაობენ ამ გახურებულს თიბვისა და მკის დროს.

მარტო კაცის მსხვერპლით როდი კმაყოფილდებიან ავაზაკ-წაწყმედილნი და ქვეყნის პოლიციის უძლურებით გათამამებული ყაჩაღები: საძოვრებზედ გამოსულს საქონელსაც ფეხს ადგამენ. ერთ დღეს მეიდი ძროხა და ხარი მოჰკლეს. ასეთი შემთხვევა კიდევ იყო: ერთ სოფლის (იფარის) მცხოვრებთ ბეგარა დაადვეს და ხელადვე გადაახდევინეს ხუთ-ხუთი მანეთი კომლზე. ბევრ სხვა „სამშობლო საქმეებს" სჩადიან ეს ახალ „გამოჩენილი მეფეები". ნეტავი რა დანიშნულება აქვს ახლად შემდგარ საპოლიციო დარაჯების რაზმს, რომელთა რიცხვი სვანეთში თავზედ მეტია.

ოლღა დადეშქელიანისა

ს. კახიძგან (სანკიდო). ეს ორი დღე მეტია, რაც ხვირიანი წვიმა არა გადიოდა. მინდვრები ლამის დაიწვას სიცხისაგან. აბრეშუმის მოსავალი კარგი იყო, მაგრამ გადაგინდებულად ფასი არა ჰქონდა. თხილის მოსავალი მცირეა, მხოლოდ კაკალი და წაბლი ბლომად არის.

გ. ფარადაშვილი

ცხოვრების გამოძახილი

VIII

გადრემდის დავშვრეთ ამაოდ.

სამწუხაროა, რომ არ ვიცით, ვინ იყო პირველი ქართველი რუსის უმაღლესი სკოლა რომ გაათავა, მაგრამ უფრო სამწუხაროა, რომ შედარებით არც ისე დიდი ხნის ამბავია და მაინც არ ვიცით, ვინ როდის წავიდა სამზღვარ-გარეთ სწავლის მისაღებად, ან ვინ გაათავა პირველად იქაური უმაღლესი სკოლა. მეტად სასურველია ვიცოდეთ, უკანასკნელის კითხვის პასუხი, რადგანაც ასეთი ამბავი ჩვენის გონებრივის განვითარების ისტორიაში ერთობ თვალსაჩინოა და გვასწავებს, რომ ჩვენს ახალგაზდებს დაბადებია მისწრაფება მეცნიერებას მის სათავეშივე დაწაფებოდნენ. ამათ, უეჭველია, წინამორბედი თაობაც ჰყავდათ, თუ შეიძლება ითქვას, მაგრამ იგი უფრო გასასეირნებლად და დროს გასატარებლად დადიოდა სამზღვარ-გარეთ და ამიტომ არც ჩვენის საუბრის საგანს შეადგენს. აღარ მახსოვს რომელის ავტორის და ერთ რუსულად დაწერილ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ამომიკითხავს, რომ ქართველებმა თუ გაიცნეს ევროპა და მისი მეცნიერება, მარტო რუსულის თარგმანებითაო. ჭეშმარიტებაა. ანტონ I კათალიკოზის, გაიოზ მთავარ-ეპისკოპოსის, დავით რექტორის, ან კიდევ რუსეთს წასხმულ ბატონიშვილთა დროს ევროპის მეცნიერების გაცნობისა და შესწავლის ცოტა იყო, თუმცა ჩვენის ერის მოქალაქობრივს სხეულებას მით არავითარი ჰშველებია. იმათ სურვილი იმდენად ძლიერი ჰქონდათ, რომ ვეღარ მოიცალეს ახალი ენების შესწავლისთვის და რუსულის თარგმანით ჰსთარგმნეს ის მეცნიერება, რასაც მათი სული და გონება ეწაფებოდა. ასე მოიქცა ანტონ I კათალიკოსი ფრიდერიკოს ბაუმეისტრის „ახალის ფილოსოფიის დასაბამით", ასევე მოიქცა ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი მონტესკიეს „სჯულთა გულისხმის ყოფას" და სხვანი, რომელთა როგორც სახელების, ისე ნათარგმნების ჩამოთვლა ძლიერ შორს წაგვიყვანს. ვერ ვიტყვი, რომ იმ დროების სახელოვან ქართველთა მოღვაწეობა მარტო ოდენ ცნობის მოყვარეობით და გულის შესაჯერებლად ყოფილიყოს გამოწვეული. არა, იგი იყო საქმიანი და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი, ვინაიდგან, მაგალითად, ბაუმეისტრის „ახალის ფილოსოფიის დასაბამნი" მეცნიერმა მამამთავარმა ჰსთარგმნა „სხოლის მოწაფეთა სარგებლად". ასე მიდიოდა საქმე, ვიდრე ალექსანდრე ჭავჭავაძე გამოვიდოდა. ეს პოეტი იყო, მგონია, ერთად ერთი მაშინდელი მწერალი, რომელიც ფრანგულს პოეზიას სათავეში დაეწაფა და გვითარგმნა ზოგი რამ კარგი ფრანგის კლასიკოსთა ნაწარმოებისა. მაგრამ ეს ხომ იმ დროინდელი მოღვაწეა, როცა საქართველოში ქართულის სწავლა-განათლების მაგიერ რუსული იმდენად იყო შემოსული, რომ ჩვენებური დიდკაცობა, ისე, როგორც მაშინდელის რუსეთისა, ფრანგულს ენას ეტრფოდა. ასე იყო, თუ ისე, ჩვენმა სწავლულმა წინაპრებმა გაგვაცნეს ევროპის გონებისა და გრძნობის მოძრაობა რუსეთის საშუალებით და მართალი უნდა ითქვას, მათი მოღვაწეობის სიფაქიზეს ნათლად გვიხატავს მათი თარგმნილის ევროპულის მწერლობის რაოდენობაცა და ვითარებაც.

ეხლა ვნახოთ, რა გავაკეთეთ სამზღვარ გარეთ ან შინ რა მოვიტანეთ ჩვენ, მათმა შთამომავლობამ. წადილი ჩინებული დაგვებადა ევროპა პირდაპირ გაგვეცნო და იქაურის განათლების სხივი ჩვენს მამულში შემოგვეტანა ისე, რომ ჩრდილოეთი აღარ მოგვეცილო. მაგრამ ეს წადილი, როგორც გრძნობის კერძი, ევროპიულის პოეზიისა და ბელეტრისტიკისაკენ მიიქცა და ამ შემთხვევაში დ. ყიფიანისა, ი. მაჩაბლის, ი. მაჩავარიანისა და თ. სახოკიას წყალობით ქართულმა მწერლობამ ბევრი რამ კარგი შეიძინა. მაგრამ იქაურ მეცნიერთა ნაწერები დღემდე თითქმის არ მოგვეპოვება ქართულად თარგმნილი. ამ მხრით მოღვაწეობა ჩხირკედელობად გადაგვექცა და გონება მარტო ოდენ საგაზეთო, თუ საჟურნალო წერილს შესაბამისად თუ შეგვიწუხებია, თორემ სხვა რამ ფასიანი არაფერი გაგვიკეთებია. რა არის ამის მიზეზი, ჩვენგან ევროპულის ენებისა და ქართულის უცოდინარობა, ჩვენი გონებრივი უმწიფარობა, თუ სიზარმაცე, დღეს ჩვენი სამეცნიერო მწერლობა მეტად ჩამოვარჩინეთ, თუმცა-კი გაბედულად ვსჯით ჩვენებურ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ევროპის სამეცნიერო მოღვაწეობის ყოველს ახალს ამბავსა, მაშინ როცა ერთი საიმისო ავტორიც კი არ გვაბადია თარგმნილი. სამზღვარ გარეთ ჩვენ უფრო რუსულს ენაში ვვარჯიშობთ, შინ რომ მოვდივართ, სულიერ კავშირს ვწყვეტავთ იმ ენასთან, რომელიც გვისწავლია, თუ სულ არ დაგვავიწყდა, ძველებურ ყოფაში ვცვივდებით და წერის დროს ისევ რუსულად ვფიქრობთ, სიტყვებს ისევ რუსულიდან ვთარგმნით, ისევ ბრმად ვემორჩილებით რუსულ სინტაქსისს და მკითხველმა რომ უფრო კარგად გაგვიგოს აზრი, ისევ რუსულის ტერმინოლოგიით ვაჭრელებთ წერილსა, მაგრამ მაინც-კი ერთმანერთისთვის ვერ გაგვიგებინებია ჩვენი ნათქვამი.

ამას ეწოდა ჩვენში Lux ex Europa!" შაბაშ ჩვენი მეცნიერი წინაპარნი, შაბაშ სიტყვა, შაბაშ საქმე მათგან ქმნილი!

კლდე

რუსეთი

მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა განკარგულება მოახდინა, რომ სამინისტროს რწმუნებულებმა და აგრონომებმა დახმარება გაუწიონ მოხელეებს წლევანდელ მოუსავლობის გამორკვევის საქმეში.

— მთავრობას გადაუწყვეტნია შეღავათიანი ტარიფი შემოიღოს ძვირფას მხატვრულ ნაწარმოებთა გადასაზიდად რუსეთის რკინის გზებზედ.

— ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს განსაკუთრებული აგენტები გაჰგზავნოს იმ ადგილებში, სადაც წელს კარგი მოსავალი იყო. ამ აგენტებმა უნდა გაიგონ, როგორა ფასობს პური და იყიდონ კიდეც იგი მოუსავლობით დაზარალებულთათვის.

— მიწად მოქმედების სამინისტრომ დაამტკიცა ახალი ინსტრუქცია კერძო პირთა მიერ სახაზინო ადგილებში მთა-მადნების წარმოებისა.

— სამინისტრომ საბოლოოდ გადასწყვიტა მოაწყოს მეურნეობის საქმე მისავალ რკინის გზებზედ (Подъѣзд. путь.). ამ ახალ საქმისათვის სამინისტრო შტატებს ადგენს.

— 11 აგვისტოდგან რკინის გზებზედ ახალი დაკლებული ტარიფი იქმნება შემოღებული იმ მოსწავლეთათვის, რომელნიც ექსკურსიებს განიზრახავენ. ეს ტარიფი საერო განათლების მინისტრის მეცადინეობით იქმნა შემოღებული. ამ ტარიფით უმაღლეს, საშუალო და დაბალ სკოლების მოსწავლეებს მე-3 კლასის ვაგონში მგზავრობისათვის გამოერთმევათ ის ფასი, რაც დღეს 10 წლისაზედ ნაკლებს ბავშვებს ერთმევათ, ე. ი. ერთი მეოთხედი დღევანდელ ფასისა. ნაკლები ფასი გამოერთმევათ იმ მასწავლებელთაც, რომელნიც მოსწავლეებთან ერთად იმგზავრებენ.

უცხოეთი

ჩინეთი. ერთი იაპონელი სწერს „Ostasien"-ში, რომ რუსეთი სცდილობს ჩინეთი დაიმორჩილოს ისე, როგორც ინგლისმა ინდოეთი დაიმორჩილაო. ეს განზრახვა ეხლავე მოჰყავთ სისრულეში, ხოლო 15—20 წლის განმავლობაში საქმე სრულიად მოეწყობა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რომ შესძლებს თუ არა ინგლისი წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთს, თუ იგი სრულიად დაჰკარგავს თავისს მნიშვნელობას, როცა ევროპაში ომი მოუხდება, მაგალითად საფრანგეთთან. იაპონელის აზრით, მაშინ მონღოლი მისცემს რუსეთს არამც თუ ყველაზედ იაფს სამუშაო ძალას, არამედ საუკეთესო დაუღალავს მასალას ჯარისათვის, ხოლო ევროპის სახელმწიფონი, რომელთაც მასთან კავშირი არ ექმნებათ, რუსეთთან შეტაკების ვერ გაუძლებენ და დამარცხდებიან. რუსეთი მაშინ ისეთი დიდი სახელმწიფო შეიქმნება, რომელსაც წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევს. მისი კარგა ხნის ოცნება — ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და ბოსფორის დაპყრობა და სხვა საქმე, ვითა დამწიფებული ნაყოფი ხელში ჩაუვარდება. რუსეთი ერთის მოჯადოებულის კვერთხის დაკვრით გამოიწვევს სამხრეთ მონღოლთა მილიონს მხედარს, ხელში ჩაიგდებს აღმოსავლეთ აზიის კუნძულებს, და როგორც აღმოსავლეთის წინამძღოლი, როგორც აზიის დიდი სახელმწიფო, თავისს პირობებს მიაყენებს ევროპის კულტურულ სახელმწიფოებსაო.

— მართლაც ჩინელები რუსეთს ევროპის სახელმწიფოდ-კი არა, თავისს ჩრდილოელ მეზობლად სთვლიან და რუსეთის მასიონერებსაც სხვანაირად უყურებენ. დასავლეთის მისიონერებს ჩინელები უწოდებენ „ჯუ-ან-ხსი-ძაოხა"-ს, რაც ნიშნავს „დასავლეთის მოძღვრების გამავრცელებელ მეცნიერებს". სულ სხვაა, ჩინელების აზრით, რუსეთის მასიონერები. ისინი გამოგზავნილნი არიან მართლ-მადიდებელთა ეკლესიის მიერ „ზეცის შვილის" კართან, რომელიც წარმოადგენს სულიერს მეთაურს ჩინეთის ერისას. გარდა ამისა რუსეთი იმდენად კარგად იცნობს ჩინეთის ცივილიზაციას, რომ თავზედ არ მოახვევს ჩინელებს ამისთანა მოძღვრებას, რომელიც სრულებით არ შეეფერება ჩინელთა აზროვნებასაო.

გერმანია. როგორც მკითხველებმა დეპეშიდგან უწყიან, 23 ივლისს კრონბერგში გარდაიცვალა გერმანიის იმპერატრიცა ვიქტორია. ვიქტორია — ადელჰეიდ-მარია-ლუიზა პრინცესსა დიდი-ბრიტანიისა და ირლანდიისა დაიბადა 21 ნოემბერს 1840 წ. იგი იყო უფროსი შვილი ინგლისის დედოფლის ვიქტორიისა და პრინცის ალბერტისა. 1856 წ. პრინცესა ვიქტორია დაინიშნა პრუსიის პრინც ფრიდრიხ ვილჰელმზედ, ხოლო 1858 წ. ჯვარი დაიწერა ლონდონში. მეფის ვილჰელმის ტახტზედ ასვლის შემდეგ ვიქტორია კრონ-პრინცესსა გახდა. მშვენივრად აღზრდილი და განათლებული, ნიჭიერი და მხნე პრინცესსა ვიქტორია ქმრისა და შვილებისადმი მზრუნველობის გარდა გატაცებით სწავლობდა ხელოვნებასა, თვითონაც ხატავდა და ძლიერ დაეხმარა ბერლინში სამხატვრო მუზეუმის დაარსების საქმეს. პოლიტიკურს და სარელიგიო საგნებში ვიქტორია თავისუფალ მოაზრედ ითვლებოდა. როდესაც 1887 წ. ვილჰელმი ავად გახდა, ვიქტორია ქმარს გაჰყვა იტალიაში და მასთან ერთად დაბრუნდა მეფის მამის იმპერატორის ვილჰელმის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც კრონ-პრინცი ტახტზედ ავიდა იმპერატორის ფრიდრიხ III-ის სახელით. იმპერატორი და იმპერატრიცა შარლოტენბურგში დასახლდნენ, სადაც ვიქტორია მზრუნველად უვლიდა ავადმყოფს იმპერატორს, რომელიც მეფობიდგან 99 დღის გასვლის შემდეგ გარდაიცვალა, ხოლო ვიქტორიას სახელად ერქვა იმპერატრიცა ფრიდრიხი. იგი სამუდამოდ დასახლდა ფრიდრიხსკოფში, ჰამბურგისა და კრონბერგის მახლობლად, სადაც გარდაიცვალა კიდეც ერთის წლის ავადმყოფობის შემდეგ. იმპერატრიცას ბოლოს მოუღო იმავე სენმა, შინაგან ორგანოთა ავადმყოფობამ, რომელმაც ასე უდროოდ გამოასალმა წუთი-სოფელს მისი მეუღლე.

იმპერატრიცა ფრიდრიხი ნათესავი იყო ევროპის თითქმის ყველა სამეფო სახლეულობისა. იგი იყო დედა გერმანიის ეხლანდელ იმპერატორის ვილჰელმისა, დეიდა რუსეთის იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულისა, და ინგლისის მეფისა, დედა საბერძნეთის მემკვიდრე დედოფლისა და სხ.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

პორტ-არტურში რუსეთ-ჩინეთის მუზეუმი დაუარსებიათ. მუზეუმს აზრადა აქვს გააცნოს ჩინელებსა და შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ სხვა ხალხს რუსეთის კულტურა და გაუადვილოს რუსეთს ჩინეთთან დაახლოვება, იქაურის ცხოვრებისა და ვითარების გაგება. ამ აზრით მუზეუმში ორი განყოფილებაა: რუსული და ჩინური.

* * *

ამ რამდენისამე ხნის წინად რუსეთში გარდაიცვალა მალოროსთა მწერალი კულიში. განსვენებულს დარჩენია მალოროსულად დაბადება, რომლის გადათარგმნა-

საც მთელი თავისი სიცოცხლე მოანდომა თურმე. დაბადება შეუსწორებიათ და მოუმზადებიათ დასაბეჭდად, მაგრამ რუსეთში ვერ დაბეჭდილა საცენზურო პირობების გამო. ამიტომ კულიშის ქვრივს ბრიტანიის საბიბლიო საზოგადოებისათვის უთხოვნია დაბადების გამოცემა და ისიც სიამოვნებით დათანხმებულა. კულიშის ქვრივმა საზოგადოებისაგან გამოცემის უფლების დათმობისათვის 5000 მანეთი უნდა მიიღოს.

* * *

როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, ამერიკაში უკვე შესდგომიან რუსთა მწერლის მაქსიმ გორკის საუკეთესო თხზულებათა ცალკე წიგნად გამოცემას. წიგნი ინგლისურს ენაზედ გამოვა.

* * *

იაპონია ისეთი ქვეყანაა, სადაც მეტად დიდი ქისაა საჭირო, რადგანაც იქ დიდი ფულია ხმარებაში. ერთი ვერცხლის ფულია იაპონიაში, სახელად „ობონგი“, რომელიც ნახევარ გირვანქას იწონის თურმე. იაპონიაზედ უფრო მოზრდილ ფულს ანნამში ხმარობენ. იქაური ფული ურმის თვალსა ჰგავს. იქაური „ლოთლი“ ჩვენებურ 280 მანეთს უდრის.

* * *

ნიუ-იორკში ამას წინად მომკვდარა ერთი მთხოვარა, ვილიამ ბოუერი, რომელსაც 120 ათასი მანეთი დარჩენია. ბოუერს ანდერძი არ დაუტოვებია, არც ნათესავები ჰყოლია, ამიტომ პირველ ხანს არ იცოდნენ, ვისთვის გარდაეცათ ფული. რამდენისამე ხნის შემდეგ გამოცხადდა თურმე ვიღაც ჯონ ბოუერსი და თავისი თავი ვილიამს ბოუერსის მემკვიდრედ გამოაცხადა. ჯონს არავითარი საბუთის ქაღალდი არა ჰქონდა, საიდგანაც დამტკიცებულიყო იმისი ნათესაობა ვილიამთან. მაშინ ჯონს ნათესაობის დასამტკიცებლად უთქვამს, ფეხის თითები კანითა მაქვს ერთმანერთზედ გადაბმული ისევე, როგორც განსვენებულსა ჰქონდაო. სასამართლომ ამოათხრევინა ვილიამსის გვამი და მართლაც თითები ბატივით გადაბმული ჰქონია. სასამართლოს ეს საბუთი საკმაოდ უცვნია და ვილიამსის მემკვიდრედ ჯონ ბოურსი დაუმტკიცებია.

* * *

როგორც ვიცით, ამ რამდენისამე წლის წინად გარდაცვალებულმა ნობელმა დიდძალი ფული დასტოვა. ამ ფულიდგან პრემიები უნდა მიეცეთ იმათ, ვინც რითმე ხელს შეუწყობს მშვიდობიანობის დამყარების საქმეს. პირველი პრემიები წელს უნდა დარიგდეს. პრემიები მიეცემათ ერთ მწერალს, ერთ ფიზიკოსს, ერთ მკურნალსა და ერთ საზოგადო მოღვაწეს, თითოს 50 ათასი მანეთი.

* * *

გაზეთი „Пріам. Вѣд.“-ი, რომელიც შორეულ ციმბირში გამოდის, აი რასა სწერს: „ოდესაში, როგორცა სჩანს, საქმროები იმდენად ცოტანი ყოფილან, რომ ორი ახალგაზდა, ლამაზი ქალი, განათლებული და კარგის ოჯახის წევრი, ჩვენს მხარეში აპირობენ გათხოვებას. გაუგიათ რა ამ ქალებს, რომ ჩვენკენ საქმროები ბლომად მოიპოვებიან, გვთხოვენ დახმარება გავუწიოთ და ხელი შევუწყოთ იმათ გათხოვებას. ამასთან სურათების გამოგზავნასაც გვპირდებიან. ერთი მათგანი 18-სა, ხოლო მეორე 19 წლისაა, ძალიანა გვთხოვენ „ჩვენი პირობანი შევატყობინოთ“.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

28 ივლისი.

პეტერბურგი. 28 ივლისს პეტერბურგში მოვიდნენ და პეტერჰოფისაკენ გაემგზავრნენ პრინცესსა ვიქტორია ბატენბერგისა ჰერცოგინა ჰესსენისა, მეუღლის ლიუდვიგ ბატენბერგელით.

ნიჟნი-ნოვგოროდი. წუხელის და დღეს დილით სორმოვოში ორჯერ გაჩენილმა ცეცხლმა 60-მდე სახლი გაანადგურა.

ლონდონი. 27 ივლისს კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდგან: ბრანდფორტის მახლობლად მდებარე ბლოკჰაუზი ცხარე ბრძოლის შემდეგ აღებულ იქმნა 26 ივლისს, ღამე. ერთი ინგლისელი მოჰკლეს და 3 დასჭრეს.

კონსტანტინეპოლი. დღეს ელჩებს თათბირი ჰქონდათ იმის შესახებ, რომ ოსმალეთის ადგილობრივი მოხელეები ხშირად ერევიან საერთაშორისო სასანიტარო საბჭოს საქმეშიო.

ობერ-ცერემონმეისტერმა იბრაგიმ-ბეიმ პორტის სახელით წარუდგინა საფრანგეთის ელჩს ახალი წინადადებანი სტამბოლის ზღვის სანაპიროების შესყიდვის შესახებ. ელჩმა უარჰყო ეს წინადადებანი და განაცხადა: მტკიცედ ვთხოულობ, რომ ეს დავა გადასწყდეს ჩემის პირობების თანახმადაო.

ფილიპოპოლი. სტამბოლიდგან იუწყებიან, რომ იქ დააპატიმრეს ბევრი სომეხი, რომელთაც უპოვნეს რევოლიუციონური თხუზულებანი. ამბობენ, სომხებს იმისთვის აპატიმრებენ, რათა სულთანის ტახტზედ ასვლის წლის თავზე უწესოება არა მოხდეს რაო.

29 ივლისი.

კრონბერგი. იმპერატრიცის ვიქტორიის გვამი ეკკლესიაში გადაიტანეს. კუბოს მისდევდა იმპერატორი მარტოდ, სხვანი იმის შემდეგ მიდიოდნენ. იმპერატორმა ეკკლესიაში გვირგვინით შეამკო კუბო და შემდეგ დაბრუნდა.

პეკინი. ელჩებს შორის ისმის, რომ ხვალ ელჩების სხდომაზედ ინგლისის ელჩი საწინააღმდეგო აზრს წარადგენს სადამოჟნო ტარიფის გადასასინჯად კომისიის დანიშვნის შესახებაო. თუ ეს მოხდა, ელჩები განაცხადებენ, რომ გადაწყვეტილ საქმეების აღძვრა არ შეიძლებაო: ელჩები ყველანი თანახმანი არიან კომისიის დანიშვნისა.

ნეაპოლი. კრისპი სიკვდილის პირასაა.

პეტერბურგი. გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ ინსტიტუტების მასწავლებელთა შვილებს უფლება აქვთ უსასყიდლოდ სწავლისა იმპერატრიცა მარიამის უწყების ინსტიტუტებსა და გიმნაზიებში.

პეტერბურგი. ფოსტათა და ტელეგრაფთა უფროსი გენ.-ლეიტ. პეტროვი საზღვარ გარეთ მიდის. იმის თანამდებობას აასრულებს თანაშემწე სევასტიანოვი.

28 ივლისს ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად დაათვალიერა უსტიჟაროს ბანაკში მყოფი ჯარი.

პენზა. ქალაქს ორ მხარეს უკიდია ცეცხლი. წინა დღეს 18 სახლი დაიწვა.

ხარკოვი. მოვიდა მოსკოვის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა მოხელე იუშნევსკი სადგილ-მამულო და სავაჭრო ბანკებში მომხდარ ბოროტ-მოქმედებათა გამოსაძიებლად.

30 ივლისი.

კრონბერგი. ნაშუადღევის 4 საათზედ ანდერძი აუგეს იმპერატრიცა ვიქტორიას. კოშკიდგან ეკკლესიამდე ჯარი იყო გამწკრივებული. გალობის და ლოცვების შემდეგ პრინცები ავგუსტ-ვილჰელმი, ადალბერტი და ოსკარი კუბოს ფეხით დაუდგნენ, ხოლო კრონპრინცი თავით. უფროსმა მქადაგებელმა დრიანდერმა ლოცვა წაიკითხა და სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის შესახებ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. პოლიცმეისტერმა დააპატიმრა ორი კაცი. ეჭვი მიიტანეს, რომ ისინი არიან არქიმანდრიტ არკადის მკვლელნი.

ვილნო. საბჭო გუშინდელს სხდომაზედ ქალაქში თვით-მმართველობის შემოღებიდგან 25 წლის შესრულების სახსოვრად, დაადგინა დადგას საბჭოს დარბაზში იმპერატორის ალექსანდრე II ქანდაკება, იყიდოს მიწა და აჩუქოს იგი სამოსწავლო ოლქს რეალურ სასწავლებლის ახალ-შენობის ასაგებად და დააარსოს ბავშვთა საავადმყოფო 25 ბავშვისათვის.

ბარისოგლებსკი. ქალაქის მახლობლად გუშინ, ღამე, ცეცხლმა 14 გლეხის სახლი გაანადგურა. დაიწვნენ დედა და 3 ბავშვი. მამა მცირე-წლოვან შვილის გადარჩენის დროს დაშავდა.

კიევი. პატიმარმა, რომელიც გამომძიებლის ოთახში შეიყვანეს, უეცრად დაავლო სტოლიდგან კალმის დანას და რამდენჯერმე დაიკრა მკერდსა და მუცელში. ჭრილობები მძიმეა, პატიმარი 20 წლის კაცია.

ტამბოვი. საშინელი სიცხეები და უწვიმობა უბედურებას უქადის მცხოვრებთ. ყველაფერი ხმება. საქონელს საძოვრები არა აქვს. ბევრგან ცეცხლი ანადგურებს სახლებსა. დღეს ტამბოვის შუაგულში 13 სახლი დაიწვა.

კილი. დღეს დილით გერმანიის საიმპერატორო ექსპედიცია სამხრეთ პოლიუსისაკენ გაემართა „გაუსის“ გემით.

ჰომბურგი. მოვიდნენ ინგლისის მეფე და დედოფალი, პრინცესა ვიქტორია და საბერძნეთის მეფის ძე ამალიითურთ.

ვაშინგტონი. მიწად-მოქმედების მინისტრის ანგარიშში შემდეგი შენიშვნაა დაბეჭდილი: „ზოგიერთ ოლქში სიმინდი ისეა წახდენილი, რომ იმის გამოკეთება შეუძლებელია; სხვა ადგილებში ამას წინად მოსულმა წვიმებმა ცოტა ოდნად გამოაკეთეს და იმედი აქვთ ხეირიან მოსავლისა“.

ნეაპოლი. კრისპი საღამოს $7^{3}/_{4}$ საათზედ გარდაიცვალა.

გამოსადეგი ცოდნა

—

რა ნაირად შეიძლება შეიტყოთ—ნავთი კარგია თუ არა.

სკალვეიტის აზრით, კარგი ნავთი 38° (ცელსიის ტერმომეტრით) სითბოში ამაფეთქებელს გაზებს არ უნდა უშვებდეს. აი, ამის გასაგებად სკალვეიტი რა საშუალებას ურჩევს: უნდა აიღოთ ნავთი, ჩაასხათ ვიწრო შუშის მასრაში (пробирка), პირი თითით დაუცოთ და ისე გადმობრუნებული 38° გამთბარს წყალში ჩაუშვათ. შემდეგ, როგორც-კი შუშა მთლად წყლით დაიფარება, პირიდგან თითი მოაცილოთ და ისევ ისე გადმობრუნებული გეჭიროთ, როგორც წინად გეჭირათ. თუ რომ ამ პირობებში შუშის ზემოდა ნაწილში გაზის ბუშტები არ იკრიბება და ნავთი არ იღვრება, მაშინ, რასაკვირველია, ნავთი კარგია, თუ არა-და,—ცუდი: ერთი სიტყვით, შუშიდგან გამოდევნილი ნავთის რაოდენობა მუდამ სწორედ უჩვენებს რამოდენი ამაფეთქებელი გაზებია ნავთში და აქედგან—მაშასადამე, სახმარებლად რამდენად გამოსადეგია.

ასეთი ნავთი საშიშია არა მარტო იმითი, რომ შეიძლება ადვილად მოეკიდოს ცეცხლი, ადვილად იფეთქოს, არამედ იმითიც, რომ წვის დროს დიდ-ძალს სუბუქსა და ჰაეროვანს ნახშირ-წყალბადს ათავისუფლებს, რომელიც სრულიად დაწვას ვერ ასწრებს და შხამიანს გაზს ნახშირ-მჟავის ჟანგს (окись углерода) იძლევა, ან-და სრულებით არ იწვის და ჰაერში ყროლის სუნს ავრცელებს.

—

ეკონომიური ფილტრი (წყლის დასაწმენდი).

იქ, სადაც წყალი მღვრიეა და უსუფთაო, საჭიროა უთუოდ კარგად დაიწმინდოს და ისრე იხმარონ ი, სულ იაფის ფასისა და საუკეთესო წყლის დასაწმენდი ფილტრი: უნდა შეუკვეთოთ კარგად მოზრდილი (თუ რომ გსურთ ბლომად დასწმინდოს წყალი) მუხის კასრი, რკინის სალტეებით შემოჭერილი, რომელსაც ორ არშინამდე სიმაღლე უნდა ჰქონდეს და არშინი სიგანე (სისქე ფიცრისა არა ნაკლებ ერთის გოჯისა) და კასრის შუა-გული შიგადათ დააყოფინოთ ტოლ-ტოლად ადვილად ამოსაღების—(როდესაც-კი ეს კასრის გამოსარეცხად და გამოსაწმენდათ საჭირო იქნება) ცინკისა და ხისაგან გაკეთებულის ორ-კეცი რგვალი ფიცრებით, რომლებიც მთლად წვრილად დაჩვრეტილები უნდა იყვნენ. სულ ძირში კასრს წყლის გამოსადენი მილი ექნება, ზემოდგან-კი წყლის ჩასასხმელი ძაბრი. ახლა კასრის თვითოეული განყოფილება სხვა-და-სხვა გვარის დასაწმენდი ნივთიერებით უნდა აავსოთ ამ რიგად: ძირის განყოფილებაში ჩაჰყაროთ სხვილი ქვიშა (гравій) რომელსაც შენობებზედ ხმარობენ ხოლმე, შემდეგ დახვრეშილი, დანაყილი ქვა (песчанный камень), მერე ისევ ქვიშა, ახლა ისევ ქვა და ამნაირად მოჰყაროთ ზემო განყოფილებამდე; სულ ზემო განყოფილებაში-კი ღრუბლის ნაჭრები უნდა ჩააწყოთ. ამ რიგად გაკეთებული ფილტრი მშვენივრად სწმენდავს წყალსა და სიიაფესთან ძალიან მოხერხებულიც არის. ეჭვი არ არის, ვისაც რამოდენა უნდა, იმოდენას გააკეთებინებს კასრსა. ფილტრი ხმარების დროს დრო-გამოშვებით უნდა დაიშალოს ხოლმე და გაირეცხოს, გაიწმინდოს, ქვიშა და ლამი გამოეცვალოს.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა, (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.), ბათუმში ჩავა დილის 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი ღამის 10 ს. 10 ს. 58 წ.), ყარსში ჩადის დღის 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 42 წ. (10 ს. 43 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.), ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

საგარაკო მატარებლები:

საგარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

საგარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.).

* * *

განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.



ახალი საშუალება თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, ჰსპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია:** დიდი ქილა—2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—61)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30-го Іюля 1901 г. სტამბა ქ. ივ. ხელაძისა დოროს-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი, ილია ჭავჭავაძე